ოქმი N 7

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო
კომისიის სხდომისა

ქ. ხობი

2022 წლის 28 ივლისი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ლევანი ლიპარტია
2. მამუკა ქარდავა
3. სერგო ბერაია
4. აკაკი მალანია
5. გურიელ ქარდავა
6. ბადრი რიჟამაძე
7. ფელიქსი წურწუმია
8. ნინო ბოკუჩავა
9. მალხაზი იოსავა

სხდომას თავმჯდომარეობდა ლ. ლიპარტია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 27 ივლისის N50-502220827 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 27 ივლისის N50-502220842 წერილის განხილვა („საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ).

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე).

3. ფრაქცია “ ხობი-საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მ. იოსავას 2022 წლის 27 მაისის N 51-51221474 წერილის განხილვა (ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული დაბალანაზღაურებადი თანამშრომლების სახელფასო სარგოს შესაძლო მატებასთან დაკავშირებით და ხობის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შესახებ).

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი -არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი საკითხი

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 27 ივლისის N50-502220827 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ)
(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის ცვლილებების შესახებ დადგენილების პროექტი და განაცხადა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში პირველი იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთიდან 140,0 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტი) მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად:

პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია" ასიგნებაზე 68,6 ათასი ლარი, აქედან:

4,5 ათასი ლარი ქვეპროგრამის ,,ხიდების, ხიდ-ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა"

50,0 ათასი ლარი ქვეპროგრამის ,,სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია"

გ.ა.გ) 14,1 ათასი ლარი პროგრამის ,,სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია"

პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია" ასიგნებაზე 71,4 ათასი ლარი, აქედან:

გ.ბ.ა) 71,4 ათასი ლარი - პროგრამის ,,მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა" ასიგნებაზე, მათ შორის: 71,4 ათასი ლარი - სოციალურად დაუცველი ოჯახების სახლების შესაკეთებლად მასალების შეძენის ასიგნება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 27 ივლისის N50-502220842 წერილის განხილვა („საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და განაცხადა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით მისი საქმიანობის პროცესში მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საინფორმაციო უზრუნველყოფა, რომლის ფარგლებშიც მერიის საინფორმაციო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები მუდმივად არიან ჩართულნი სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით არაერთ საკომუნიკაციო პროგრამასა და ჯგუფში. საკომუნიკაციო პროგრამების უმრავლესობა ფუნქციონირებს ინტერნეტის წყაროზე. მერიის საინფორმაციო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების სამსახურის მხრიდან 24 საათიანი ინტენეტით უზრუნველყოფის მიზნით, მერიის მხრიდან მიზანშეწონილად ჩაითვალა, მათთვის ფიჭური სატელეფონო მომსახურების (კორპორაციული საავანსო ნომრების) დამატებითი ლიმიტების დაწესება, ინტერნეტისთვის. განხორციელებული ცვლილებით გამოწვეული დამატებითი ხარჯები კომპენსირებული იქნება ადგილობრივი ბიუჯეტით ფიჭური კავშირგაბმულობის ხარჯებისთვის გათვალისწინებულ ასიგნებებში არსებული ეკონომიით და ადგილობრივ ბიუჯეტში დამატებითი თანხების მობილიზება საჭირო არ არის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

3. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხობი-საქართველოსთვის" თავმჯდომარის მ. იოსავას 2022 წლის 27 მაისის N51-51221474 წერილის განხილვა (ადგილობრივი

ბიუჯეტით დაფინანსებული დაბალანაზღაურებადი თანამშრომლების სახელფასო სარგოს შესაძლო მატებასთან დაკავშირებით და ხობის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შესახებ)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხობი-საქართველოსთვის" თავმჯდომარის მ. იოსავას წერილი, ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული დაბალანაზღაურებადი თანამშრომლების სახელფასო სარგოს შესაძლო მატებასთან დაკავშირებით და ხობის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, წარმოდგენილ წინადადებასთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები

მ. იოსავა - განაცხადა რომ, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში ძალიან დაბალია სახელფასო განაკვეთები, ხოლო ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა და ფინანსური ინფლაციიდან გამომდინარე აუცილებელია ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან გამოიძებნოს ბიუჯეტში სახსრები ხელფასების გაზრდის მიზნით. აქვე დასძინა რომ ხობის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტით გაწერილი ვალდებულებების შესრულება არ ხორციელდება მერიის მხრიდან გეგმის შესაბამისად.

აზრი გამოთქვეს:

მ. ქარდავა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

მ. იოსავა ფრაქცია " ხობი-საქართველოსთვის" თავმჯდომარე.

დ. ჭოჭუა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

რ. ზაქარაია ხობის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე.

დ. ბერაია ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე.

გ. ჩაბალუხა მერიის ინფრასტრუქტურის ურბანული განნვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი.

ა. ვარდია ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

მერიის წარმომადგენლების განმარტებით ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით შეუძლებელია სახელფასო ფონდების გაზრდა მუნიციპალიტეტის მერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში, კომისიის წევრებთან ერთად შეთანხმდნენ, რომ საკითხი დამატებით განხილულ იქნეს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების პროცესში.

დაადგინეს: ინფორმაცია ცნობად იქნა მიღებული

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევანი ლიპარტია